



სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030242904728420

№ 02-48/ო

15 / იანვარი / 2020 წ.

სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზიდან (15-05) და სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (regagency@moh.gov.ge), სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტ(ებ)ზე შემოსული ინფორმაციის/შეტყობინების მიღებისა და მასზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის N 01 – 64/ ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის „კ“ და „რ“ პუნქტების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

1.დამტკიცდეს სსიპ-სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზიდან (15-05) და სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (regagency@moh.gov.ge), სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტ(ებ)ზე შემოსული ინფორმაციის/შეტყობინების მიღებისა და მასზე რეაგირების წესი დანართი N1-ის შესაბამისად;

2.დამტკიცდეს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზიდან (15-05) და სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (regagency@moh.gov.ge), სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტ(ებ)ზე შემოსული ინფორმაციის/შეტყობინების ფორმა დანართი N2-ის შესაბამისად;

3.დამტკიცდეს სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზიდან (15-05) და სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ელექტრონულ ფოსტაზე (regagency@moh.gov.ge), სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის ფაქტ(ებ)ზე შემოსული ინფორმაციის/შეტყობინების აღრიცხვის ფორმა დანართი N3-ის შესაბამისად;

4.სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მონიტორინგის დეპარტამენტმა უზრუნველყოს მიღებული ინფორმაციის/შეტყობინების დამუშავება და რეაგირება/კანონმდებლობის შესაბამისი ღონისძიებების გატარება;

5.ბრძანების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო/საკონსულტაციო მომსახურების სამმართველოს;

6.აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს ვებ-გვერდზე - www.rama.moh.gov.ge;

7.ბრძანების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება დაევალოს სააგენტოს დირექტორის მოადგილეს, ალექსანდრე კალანდიას;

8.ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დირექტორი

ხელმოწერილია/  
შტამვდასმულია  
ელემენტრონულად



ზაალ კაპანაძე